პოლიტიკა
ეკონომიკა
სამართალი
საზოგადოება
სამხედრო ამბები
რეგიონი
უცხოეთი
ინტერვიუ
ანალიტიკა
პრესის მიმოხილვა
უცხოური პრესა
კულტურა
ქონებრივი დეკლარაციები
სხვადასხვა

NSP.ge
გაიგეგანსხვავებული

ფოტოგადაღება პროფესიონალური აპარატურით

NewsPress
Like Page
Be the first of your friends to like this

კულტურა

მიხეილ ჩხენკელი: ახალი საერთაშორისო კინოაკადემია რეგიონის ინტელექტუალური ცენტრი გახდება

17:26 19.11.2017

საქართველოს პარლამენტში ამერიკელ რეჟისორთან, დევიდ ლინჩთან და მისი ფონდის დელეგაციის წევრებთან შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრებმა, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ და პარლამენტის სხვა წევრებმა. საუბარი შეეხო დევიდ ლინჩის ინიციატივას, თბილისში ახალი საერთაშორისო კინოსკოლის გახსნის თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა დევიდ ლინჩს საქართველოში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ასეთი მაღალი რანგის რეჟისორის ვიზიტი ჩვენი ქვეყნისთვის დიდი პატივია. ჩხენკელის განმარტებით, ახალი საერთაშორისო კინოაკადემია გახდება რეგიონის ინტელექტუალური ცენტრი, სადაც პრაქტიკული სამუშაოს გარდა, სიღრმისეულად იმსჯელებენ კინემატოგრაფის ისტორიაზე, თეორიაზე და მის ფილოსოფიაზე. ამასთან, ეს იქნება მნიშნველოვანი სივრცე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და ფესტივალებისთვის.

სამინისტროს სახელითთ მინისტრმა სრული მზაობა გამოთქვა მხარი დაუჭიროს დევიდ ლინჩის ინიციატივას. მინისტრის თქმით, გაღრმავდება თანამშრომლობა ახალი საერთაშორისო კინოაკადემიის დაარსების თაობაზე.

ინტერვიუ

18:10 01.05.2019

ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან: დავით-გარეჯთან დაკავშირებით ზოგიერთი მხარის რეაქციები ძალიან გამიკვირდა

ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საკუთარ როლზე, მეზობელ

[ვრცლად]

MIKHEIL CHKHENKELI: A NEW INTERNATIONAL FILM ACADEMY WILL BECOME AN INTELLECTUAL CENTER OF THE REGION

The american film director David Lynch and the members of his foundation paid a visit to the Parliament of Georgia. The meeting was also attended by the Ministers of Education and science and culture, the Chairperson of the Commitee of Education, Science and Culture and other members of the Parliament of Georgia. The main topic concerned David Lynch's initiative about establishing a new international film school in Georgia.

The Minister of Education and Science of Georgia – Mikheil Chkhenkeli thanked David Lynch for visiting Georgia and noted that visit of such a high class film director is big honor for our country. According to Chkhenkeli the new international film academy will become an intellectual center of the region, where except of the practical work, the cinema history, theory and its phylosophy will also be discussed on a deep level. It also will serve as an important space for international scientific conferences and festivals. The Ministre expressed full readiness on behalf of the Ministry to support David Lynch initiative. According to the Minister the cooperation will be strengthened for the establishemnt of the international film academy.